ილიას ჭავჭავაძის როლი და მნიშვნელობა ახალი საქართველოს შექმნაში არ უკავშირდება მხოლოდ მე-19 საუკუნის დასასრულს, ეს არის ის როლი, რომელიც საბჭოთა ეპოქის დასრულების პერიოდშივე ქართველმა ხალხმა გააააქტიურა, ხელახლა გახადა აქტუალური. და ამაზე ხაზგასმა, ამის აქცენტი მოხდა ილიასთვის ახალი სტატუსის მინიჭებით. ეს ახალი სტატუსი იყო წმინდანის სტატუსი, რომლითაც 1887 წელს ქართველმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ შერაცხა იგი. ილია ჭავჭავაძე, როგორც წმინდანი, როგორც წმინდა ილია მართალი, დღეს ახალი სტატუსით სარგებლობს ქართულ სააზროვნო სივრცეში და ეს, ფაქტობრივად, უკავშირდება რელიგიის როლის გაძლიერებას საბჭოთა პერიოდის დასასრულს და პოსტსაბჭოთა საქართველოში. რელიგიის როლზე როდესაც ვსაუბრობთ, ცხადია, ჩვენ გვახსენდება ილიას ჭავჭავაძის მიმართულებები, როგორადაც მან განსაზღვრა თავისი შემოქმედება და აზროვნება და ეს მიმართულება, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია სწორედ სეკულარულ აზროვნებასთან - იმასთან, რომ გამიჯნოს ერთმანეთისგან საერო ცხოვრება და სასულიერო ცხოვრება; იმასთან, რომ ადამიანის ამოცანად დასახოს ერისთვის გარჯა, ცოდნის მოპოვება, მეცნიერების განვითარება ქვეყანაში; მაგრამ ამასთანავე, ილია ჭავჭავაძე ახორციელებს ძალიან მნიშვნელოვან ამოცანას, როგორიც არის მორალურ განზომილებაში რელიგიური ცხოვრების გადატანა. ჩვენ ვიცით, რომ ეს აქცენტები ილიას დასმული აქვს თავის ცნობილ ლექსში - „პასუხის-პასუხი“. გრიგოლ ორბელიანთან პოლემიკაში ის ამბობს, რომ არ სწამს ისეთი ღირებულებები, რომლებიც უკავშირდება ფარისევლობას და საზოგადოების დასანახად, ხალხის დასანახად რელიგიურ პრაქტიკას, მაგრამ მას სწამს ისეთი ღმერთი, რომელიც ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელია; რომლითაც ადამიანი უკავშირდება მაღალ სულიერ ღირებულებებს და, პირველ რიგში, ილიასთვის სულიერი ღირებულები განიხილება მორალურ შინაგან განზომილებაში. თავისი ცნობილი ლექსებით, როგორიც არის: „ლოცვა“, „ქართვლის დედას“, ილია მორალური განზომილების მნიშვნელობაზე საუბრობს. ეს არის ის მდგომარეობა, როდესაც ადამიანმა, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა ჰკითხოს: „აბა დღეს მე ვის რა ვარგე..“

ის, რომ ქრისტიანობა მას მიაჩნია ქმედების და მორალური საქმიანობის სინთეზად, ძალიან კარგად ჩანს ასევე ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში და განსაკუთრებით ნიშანდობლივია მისი ერთი პუბლიცისტური წერილი და ასევე გამოსათხოვარი „სიტყვა, თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს 1896 წელს“. ამ სიტყვით, ფაქტობრივად, ილიამ ახალი ეპოქის რელიგიური მოღვაწის სახე შექმნა. ეს იყო ადამიანი, რომელმაც შეაერთა მეცნიერება და სარწმუნოებაო, ამბობს იგი გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ.

„მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, საერო თუ სამღვდელო, რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობისყოფით, მომეტებულის დაძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება“.

მეცნიერებისა და სარწმუნოების შერიგების, მორიგების და ასევე მათი სინთეზის ის ამოცანა, რაც ილია ჭავჭავაძემ დაინახა გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, რეალურად ის ამოცანაა, რომელიც დღესაც თანამედროვე დასავლური

ცივილიზაციისთვის და თანამედროვე საზოგადოებისათვის არ არის ბოლომდე გადაჭრილი. შესაბამისად, ილიასათვის ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელი ხიდის გადება უკავშირდება სიბრძნეს, მეცნიერების მოპოვებას და ასევე მორალური ქმედების გაძლიერებას საკუთარ თავში, რის მაგალითადაც მას სწორედ გაბრიელ ეპისკოპოსი ესახებოდა. ის ცნობილი სიტყვები, რომ იგი „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა, თუ ასე თქმის და მთელი სიბრძნეც სწორედ ამაშია გამოსახული", - ილია ჭავჭავაძე არამარტო მე-19 საუკუნის ბოლოს, არამედ 21-ე საუკუნის დასაწყისში მდგარ აქტუალურ პრობლემასაც ეხმიანება და გვასწავლის, როგორ გადავჭრათ ეს პრობლემა. ეს არის საკუთარ თავში მუდმივი მორალური მჩხრეკელობის, ანალიზის დამყარება, და ასევე ისეთი ქმედებების წარმოება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, დღესაც „მე ვინმეს რამე ვარგე".

პოეტური და პუბლიცისტური ტექსტების ძირითადი აქცენტები, ძირითადი ლოზუნგები ილიას, როგორ რელიგიურ მოღვაწეს, დაგვანახვებს, თუკი ჩვენ გვსურს მისი დანახვა რელიგიურ განზომილებაში, თუმცა, რა თქმა უნდა, მისი პუბლიცისტური წერილები აჩვენებს სეკულარულ იდეასაც და სწორედ დღევანდელი კვლევები ილია ჭავჭავაძის შემოქმედების და მისი პუბლიცისტური და იდეური საქმიანობის შესახებ მის სეკულარიზმის ამოცანებსაც არანაკლებ ნათლად წარმოაჩენს. რა იგულისხმება ილიასთვის სეკულარულ საერთო ქმედებაში? ილიასთვის სეკულარიზმი ეს არის მე-19 საუკუნის საქართველოს პასუხი თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებზე და ადაპტაცია ახალ სინამდვილესთან. სეკულარიზმი, როგორც განათლების, პირველ რიგში - საერო განათლების, გზით მიღწეული ამოცანაა, ამავე დროს ილიასთვის უკავშირდება ერთიანი ნაციონალური სხეულის შექმნის ამოცანასაც.

რა არის ნაციონალიზმი, ილიას გაგებით, და რამდენად თანხმდება ის დღევანდელ მიდგომებს ნაციონალიზმისას? ბენედიტ ანდერსონისეული ძალიან ცნობილი განსაზღვრებით, ნაციონალიზმი უნდა გავიგოთ მისი გაიგივებით არა თვითორიენტირებულ პოლიტიკურ სისტემად, არამედ უფრო ფართო კულტურულ სისტემად, რომელიც მას წინ უძღვის და რომელთანაც წინააღმდეგობითაც ის ხშირად ყალიბდება. რა არის ის ფართო კულტურის სისტემა, რომელიც ილიასათვის სეკულარულ სივრცეს წარმოადგენს. ეს არის ქართველების საერთო ისტორიის განცდა, ახალ თანამედროვე და ევროპაზე ორიენტირებული, პროგრესულ სამყაროში ქართველების მიერ საკუთარი ადგილის მოპოვების მცდელობა, საქართველოს გამიჯვნა რუსეთის იმპერიული სივრცისგან და თვითკმარი სივრცის ჩამოყალიბება, თუნდაც სააზროვნო, თუნდაც კულტურულ, თუნდაც იდეურ-პოლიტიკურ გარემოში და, ასევე, შემოქმედებით და სოციალურ გარემოში; ქართველების მიერ საკუთარი ნაციონალური თვითშემეცნების გაღვივება. ეს არის ის პროცესი, როდესაც ილიას უნდა აქცენტირება ერის განვითარების იდეაზე.

რა არის ერის განვითარება? ცხადია, ეს არის მდგომარეობა, რომელიც არ მიიღწევა ლუარსაბ თათქარიძისეული საქმიანობით - თუ ჩვენ გავიხსენებთ ილიას მიერ მხატვრულ შემოქმედებაში შექმნილ მეტაფორებს - და მიიღწევა ოთარაანთ ქვრივისეული საქმიანობით. ოთარაანთ ქვრივისეულ საქმიანობას და მისი შვილის, გიორგის, საქმიანობას თუ

გადავხედავთ, ეს არის ყოველდღიური მცდელობა კეთილი საქმის კეთებისა, ყოველდღიური მცდელობა სხვისი დახმარებისა, როგორადაც ეს გიორგის სახეში არის აქცენტირებული და, შესაბამისად, ილია ქართველებს უსახავს ძალიან ნათელ ამოცანას - ორიენტირებას საზოგადოებრივ მიზნებზე. ეს არის ასევე ერისადმი კუთვნილების განცდა, რომლითაც მას სურს ქართველის ერთიანი ნაციონალური სივრცის შემოსაზღვრა და ასევე მას სურს ეროვნული ენის და ეროვნული სიმბოლიზმის შექმნა.
ეროვნული სიმბოლიზმის შექმნაში ილია, ცხადია, ძალიან დიდ როლს ასრულებს, თუმცა, ეს არის ის საქმიანობა, რომელიც ჯერ კიდევ ქართველი რომანტიკოსების თაობამ დაიწყო. სწორედ გრიგოლ ორბელიანმა, მან თავისი „სადღეგრძელოთი", ისევე როგორც სხვა ქართველმა რომანტიკოსებმა თავისი პოეტური შემოქმედებით საქართველოში შექმნეს ახალი სიმბოლიკა - ნაციონალური სიმბოლიკა.
გრიგოლ ორბელიანმა „სადღეგრძელოში" შექმნა საქართველოს ნაციონალური გალერეა, საქართველოს გმირებისა, ქართველი გმირებისა და ქართველი მეფეებისა, ქართველი რელიგიური ფიგურებისა, სამხედრო ფიგურებისა და ასევე პოეტებისა. შოთა რუსთაველი, ცხადია, მათ შორის არის. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეტური შემოქმედება, ისევე, როგორც სამოციანელების ზოგადი მიდგომები გულისხმობს ეროვნული სიმბოლიზმის გაძლიერებასაც და ასევე, ეროვნული ისტორიის გამოკვეთას არა მხოლოდ მითების დონეზე, არამედ ისტორიის რეალური ცოდნის დონეზე, სწორედ ამიტომ, როდესაც ილია გვეუბნება, რომ ერის სახელით უნდა იყოს წარმოებული გარკვეული სოციალური პროცესები, ის ამ პროცესებს უკავშირებს არამარტო ისტორიის ხსოვნას, არამედ თანამედროვე სამყაროსთან იდენტიფიკაციას. როგორც ვთქვით, ევროპული საზოგადოების გამოცდილების გაზიარება ილიასთვის არის ალიან მნიშვნელოვანი, იმიტომ, რომ ის ძალიან პრინციპულ ზღვარს ავლებს რეგრესულ სამყაროს შორის - როგორადაც ის იმდროინდელ აღმოსავლეთს თვლის, და პროგრესულ სამყაროს შორის - როგორადაც ის თვლის იმდროინდელ ევროპულ სამყაროს.
წერილში, რომელიც ჩვენ უკვე ვახსენეთ - „აზია წინათ და ახლა" - ილია ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველო გაითავისებს იმ მაგალითს, რომლითაც ვითარდებიან ევროპული ქვეყნები, მაშინ მისი გზა მიდის პროგრესისკენ, ხოლო თუკი საქართველო დარჩება იზოლირებული გარესამყაროსგან, როგორადაც ეს ზოგ აღმოსავლურ ქვეყანაში - ირანში თუ ჩინეთში ხდება იმ დროს, ილია თვლის, რომ საქართველოსთვისაც არ არის გზა ხსნილი პროგრესისაკენ. ამით ილია, ფაქტობრივად, ქმნის ერის დოქტრინას და იდეოლოგიას, რაც ენტონ დევიდ სმითის მიხედვით, თანამედროვე ნაციონალიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საყრდენია. ასეთი ერის დოქტრინის შექმნით, ილია გვიჩვენებს, თუ როგორი შეიძლება იყოს საქართველოს როლი თანამედროვე სამყაროში. მე ვგულისხმობ მოდერნულ მოდერნულ ეპოქას. ილია ძალიან პრინციპულ გამიჯვნას მოახდენს მედიავალური ეპოქის მოდელებისგან, როგორითაც არის ხმლით ბრძოლა, და ძალიან კონკრეტულ მოდერნული ეპოქის მოდელს უსახავს ქართველ ხალხს, ეს არის: კალმით ბრძოლა, ცოდნით ბრძოლა, მეცნიერებით და სიბრძნით ბრძოლა. ცხადია, ამ სივრცეში საქართველოს შემოსაზღვრა და მისი, როგორც თვითკმარი ეროვნული სხეულის შექმნა, ილიას მთავარი დამსახურებაა. ეს

დამსახურება მიიღწეოდა და არა მხოლოდ პოეტური შემოქმედებით, არა მხოლოდ პოეტური ტექსტებით, არამედ, რა თქმა უნდა, მისი პუბლიცისტური შემოქმედებით, რომელიც რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ილიას ყოველდღიური საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა.

ილიას სიკვდილი, ილიას მკვლელობა 1907 წელს, ცხადია, კიდევ ერთი ნიშანსვეტია ქართველი ერის განვითარებაში. 1907 წლის რეალობა გალაკტიონ ტაბიძისთვის არის მიჯნა, რომლითაც საქართველოსთვის დასრულდა ერთი ეპოქა და დაიწყო ახალი, მეორე ეპოქა.

ჩვენ ყველას გვახსოვს გალაკტიონის ცნობილი სიტყვები:

„წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.
ძველი ცხოვრება და იდილია,
ახალ დროების გაიდო ხიდი“.

რა არის ეს „ძველი ცხოვრება და იდილია“, ეს არის ერთიანობა სულისა, გონებისა და რწმენისა და მეცნიერებისა, როგორადაც ილია თავად გვისახავდა, თუნდაც გაბრიელ ეპისკოპოსის საქმიანობას; ეს არის ერთიანობა სიტყვისა და საქმისა, როგორადაც ილია გვისახავდა საკუთარ თავს, როგორადაც ის გვისახავდა ბევრ თავის პერსონაჟს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟებს; ეს არის ერთიანობა ადამიანის მიზნისა მის ყოველდღიურობასთან, მის ყოველდღიურ კონკრეტულ ამოცანებთან, რითაც ილიამ თავისი პრაქტიკული საქმიანობითაც გვიჩვენა ამ მიზნის მიღწევადობა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, „ძველი ცხოვრება და იდილია“ ასევე უკავშირდება სულიერ სამყაროსთან ერთიანობის განცდას და ადამიანის მცდელობას, მოიპოვოს სულის მთლიანობა, როგორადაც ეს ილიამ აღწერა თავის „განდეგილში“. სამწუხაროდ, მან ასეც გვიჩვენა, რომ ეს არის თანამედროვე დრო, ჩვენი რეალობა, ჩვენი დრო, რომელშიც სულის ასეთი აბსოლუტური მთლიანობის მიღწევა შეიძლება მარცხისთვის იყოს განწირული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანის მცდელობა არ უნდა უკავშირდებოდეს, ერთეულთა ღვაწლი შეიძლება მხოლოდ ეს იყოს და არა ყოველდღიური ცხოვრების ამოცანა... ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრების ამოცანით ილიას კავშირი სინამდვილესთან არის სრულიად განმაცვიფრებული. იგი გვიჩვენებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ადამიანი, რომელიც ფიქრობს ეკონომიკაზე; რომელიც ფიქრობს ხელოვნებაზე; რომელიც ფიქრობს პოლიტიკაზე; რომელიც ფიქრობს სწავლა-განათლების საკითხებზე, ადამიანთა უფლება-მოვალეობების საკითხებზე, კანონმდებლობის საკითხებზე და ასევე ამ გზით ჩვენ გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ცხოვრება ჩვენგან მოითხოვს სინთეზურ ხედვას იმ მრავალი ამოცანისა, რომელიც ერის ცხოვრებაში არცერთი არ უნდა იყოს იგნორირებული; თითოეული ეს ამოცანა უნდა იყოს მკვეთრად ხაზგასმული. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძის, როგორც მოღვაწის და როგორც მოაზროვნის, საქმიანობა საქართველოსთვის დაკავშირებულია მის, როგორც ეროვნული სხეულის შემოქმედის, თანამედროვე ეროვნული იდენტობის შემოქმედის ფუნქციასთან. ის თაობები, რომლებიც ილიას ამ როლს უარყოფდნენ, საბჭოთა სინამდვილეში, ცხადია, საბედნიეროდ, ისტორიამ

ჩაიბარა. ჩვენ ვართ ახალი თაობა, რომელმაც ილიას ეს საქმიანობა, ილიას ეს ამოცანები და მის მიერ პრაქტიკული და ვერბალური გზით მიღწეული მიზნები ხელახლა უნდა გააცნობიეროს.